საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“

რ. ანდრიაშვილი

ლექტორის დასახმარებლად

ისლამის გავრცელება საქართველოში

27

თბილისი
1988

შ ი ნ ა ა რ ს ი

ისლამის გადმონაშთების ზოგიერთი თავისებურებანი 6
ისლამი და ყოფა 13
ისლამის გადმონაშთების დაძლევის შესახებ 20

© საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა" 1988

სკკპ XXVII ყრილობამ ობიექტური კრიტიკული ანალიზი გაუკეთა ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. აქედან გამომდინარე, მიღებულ იქნა „ქვეყნის სვე-ბედიხათვის ისტორიული გადაწყვეტილებანი“, დასახულ იქნა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნის სტრატეგიული კურსი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის (1987 წ.) იანვრის პლენუმზე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ

> „ქვეყანამ გარკვეულ ეტაპზე მოუკლო წინსვლის ტემპს, თანდათან გროვდებოდა სიძნელეები და გადაუჭრელი პრობლემები, თავი იჩინა უძრაობისა და სხვა, სოციალიზმისათვის უცხო მოვლენებმა. ყოველივე ეს სერიოზულ დაღს ასვამდა ეკონომიკას, სოციალურ და სულიერ სფეროებს“[1].

ყრილობამ ყურადღება გაამახვილა იმ სერიოზულ ნეგატიურ მოვლენებზე, რომლებმაც დიდი ეკონომიკური და სოციალური ზარალი მიაყენა ჩვენს ქვეყანას, ასუსტებდა სოციალისტური იდეოლოგიის ზემოქმედებას. სკკპ XXVII ყრილობის მიერ აღებული დაჩქარებისა და გარდაქმნის სტრატეგიული კურსი გულისხმობს: ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარებას, წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის, შრომის მართვის, ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმების საფუძველზე; დაჩქარების კურსი ითვალისწინებს აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელებას, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპის თანმიმდევრულ დამკვიდრებას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფას, პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტიტუტების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების განახლებას, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებას, ინერციის, უძრაობის, კონსერ-

ვატიზმისა და ყოველივე იმის გადაჭრით დაძლევას, რაც ხელს უშლის საზოგადოების პროგრესს. როგორც ვხედავთ, პარტიის მიერ დასახული სტრატეგიული კურსი მოიცავს ეკონომიკის, იდეოლოგიური მუშაობის, კადრების მომზადების, სოციალურსა და ყოფით სფეროებში გარდაქმნებს. ასეთი ამოცანების შესრულებისათვის აუცილებელია ადამიანთა ცნობიერებასა და ქცევაში, მათ ყოფაში შემორჩენილი წარსულის მავნე გადმონაშთების, მათ შორის რელიგიური იდეოლოგიისა და ცრურწმენების, საკულტო რიტუალებისა და რელიგიიზებული ყოფის დაძლევა. რელიგიური გადმონაშთების მთელი ეს კომპლექსი მავნე გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ მხარეზე, აფერხებს მის პროგრესს, ზიანს აყენებს სოციალისტურ იდეოლოგიას. თითქმის ყველა რელიგია გარკვეულ მავნე გავლენას ახდენს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებზე, საერთაშორისო ურთიერთობაზე, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობაზე, სოციალიზმის საქმეზე, იდეოლოგიასა და პოლიტიკაზე. ამ მხრივ სხვა რელიგიებს არ ჩამოუვარდება ისლამი. რელიგიური გადმონაშთებისადმი სხვანაირი მიდგომა, სხვა სოციალური მოვლენებისაგან იზოლირებულად მიჩნევა დღევანდელი რელიგიების მეტაფიზიკური გაგება იქნებოდა. ისე როგორც ყოველთვის, დღესაც, რელიგია საზოგადოების ცხოვრების მრავალ მხარესთანაა კავშირში, იგი პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენს მათზე. ამიტომაც, პარტიის XXVII ყრილობაზე ხაზი გაესვა იმას, რომ შეუწყნარებელია მოდუნება იდეოლოგიური მუშაობის ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიცაა ათეისტური აღზრდა. რელიგიური იდეოლოგიის დაძლევისა და მშრომელთა ათეისტური აღზრდის პრობლემებისადმი ასეთი დიდი ყურადღება არ არის შემთხვევითი. იგი გაპირობებულია საბჭოთა საზოგადოების წინაშე მდგარი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებისა და გარდაქმნის სტრატეგიით, ახლებური აზროვნების დამკვიდრების, საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური შეგნებულობისა და სიფხიზლის, მათი სოციალური აქტივობის ამაღლების, ბურჟუაზიული პროპაგანდის ანტისაბჭოური იდეოლოგიური დივერსიების წინააღმდეგ ბრძოლის ამო-

ცანებით. სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, რომ ბურჟუაზიული პროპაგანდის მიერ გაჩაღებული.

„ფსიქოლოგიური ომი“ — ეს არის ბრძოლა ადამიანთა გონების, მ ოფლგაგების, მათი საარსებო, სოციალური და სულიერი ორიენტირებისათვის“ [2].

ბურჟუაზიული პროპაგანდა თავისი მიზნებისათვის იყენებს აგრეთვე რელიგიურ ფაქტორს და ჩვენს ქვეყანაში შემორჩენილ ყველა რელიგიას, მათ შორის ისლამსაც. დასავლეთის ბურჟუაზიული პროპაგანდა და აღმოსავლეთის მუსულმანური ქვეყნების რეაქციული რეჟიმები და პოლიტიკური ორგანიზაციები ისლამური ფაქტორის გამოყენებით ცდილობენ, გავლენა მოახდინონ მუსულმანურ ქვეყნებთან სსრ კავშირის ურთიერთობაზე, ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის მეგობრობაზე. ისინი ცდილობენ ჩააგონონ ხალხს, თითქოს რელიგია ყოფილიყოს მათი ეროვნული კულტურის განუყოფელი ელემენტი, ხოლო მისი დაძლევით ილახებოდეს ეროვნული კულტურა. ბურჟუაზიული იდეოლოგიური დივერსიების უკუგდება, მათი კლასობრივი ხასიათისა და მათდამი შეურიგებლობის ჩანერგვა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ისლამის შემორჩენის რეგიონებში მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის გაძლიერებას, მორწმუნეებისათვის ამ რელიგიის, მისი სოციალური კონცეფციების ნამდვილი არსისა და მავნე ხასიათის ჩვენებას.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში დღემდეა შემორჩენილი ისლამის გადმონაშთები: აჭარის ასსრ-ში, აფხაზეთის ასსრ ზოგიერთ სოფელში, ახმეტის რაიონის ქისტ მოსახლეობაში (პანკისის ხეობაში), ქართლისა და კახეთის აზერბაიჯანულ სოფლებში. მართალია, რესპუბლიკაში სულ ორი რეგისტრირებული მეჩეთი მოქმედებს, მაგრამ, ეს ხელს არ უშლის ამ რელიგიას — არსებობდეს იდეოლოგიისა და ყოველდღიური რელიგიური ცნობიერების, საკულტო რიტუალური პრაქტიკისა და ყოფითი ტრადიციების, მოხეტიალე მოლებისა და ცრურწმენების სახით.

საქართველოში ისლამის რელიგიის შემორჩენის თითოეულ რეგიონს რელიგიისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების მხრივ თავისი სპეციფიკა და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე ზემოქმედების თავისებურება მოეპოვება. იგი მოიცავს მსოფლმხედველობრივ, საკულტო-სარიტუალო და რე-

ლიგიზებულ ყოფით ელემენტებს. მისი რეალიზაციის საქმეს ემსახურებიან მოქმედი მეჩეთები, მოხეტიალე მოლები, აქტიური მორწმუნეები და რელიგიური ოჯახები.

ისლამის გადმონაშთების ზოგიერთი თავისებურებანი

ნებისმიერი რელიგია ზებუნებრივის შესახებ წარმოდგენებისა და იდეების, ემოციებისა და გრძნობების, საკულტო მოქმედებათა ერთობლიობაა. მაშასადამე, რელიგია მოიცავს ორ ურთიერთდაკავშირებულ მხარეს — რელიგიურ ემოციებსა და რელიგიურ მოქმედებებს. რელიგიური ცნობიერება (რელიგიური იდეები და წარმოდგენები) ვლინდება მორწმუნე ინდივიდთა რელიგიურ მოქმედებაში. როგორიცაა ადამიანთა რელიგიური ცნობიერების ხარისხი და სიღრმე. შესაბამისია მათი საკულტო მოქმედებები. ამიტომ, როდესაც ვარკვევთ თანამედროვე მუსულმან მორწმუნეთა რელიგიური ცნობიერების თავისებურებას, უნდა გავიგოთ, თუ რა ადგილი უკავია აღნიშნულ წარმოდგენებსა და იდეებს მათი რელიგიური ცნობიერების შინაარსში, როგორია თითოეული ამ ელემენტისადმი მათი დამოკიდებულება.

კონკრეტულმა სოციოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ თანამედროვე მორწმუნეები დოგმატიკის ძირითადი ელემენტების რწმენის მხრივ ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. ამჟამად მორწმუნეთა მხოლოდ მცირე ნაწილს სწამს ისლამის დოგმატიკის ყველა ელემენტი. თუმცა თითოეული ამ ელემენტის რწმენის ხარისხი მაინც განსხვავებულია, ანდა, ყველა ელემენტზე არა აქვთ ერთნაირი სიღრმის ცოდნა (გარკვეულობა). არიან ისეთი მორწმუნეები, რომლებსაც სწამთ ისლამის დოგმატიკის მხოლოდ ზოგიერთი ელემენტი, უმეტესობას კი, რომლებიც ეჭვით უყურებენ დოგმატიკის სხვა ელემენტებს, სწამთ მარტო ალაჰის არსებობა. ასეთივე განსხვავებაა საკულტო რიტუალების შესრულებაშიც. ის მორწმუნეები, რომლებსაც ისლამური დოგმატიკის ყველა ელემენტი სწამთ, ასრულებენ აგრეთვე ამ რელიგიის თითქმის ყველა საკულტო მოთხოვნას. მაგრამ თვით ასეთი კატეგორიის მორწმუნეებს შორისაც არსებობს სერიოზული გან-

სხვავება, რაც იმაში გამოიხატება, რომ ასეთებს ისლამური დოგმატიკის ზოგიერთი ელემენტი უფრო მეტად (მტკიცედ) სწამთ, ვიდრე დანარჩენი სხვა. არიან ,ისეთი ინდივიდებიც, რომლებსაც არა სწამთ ალაჰის არსებობა, მაგრამ გარკვეული მოტივით ზოგიერთ ისლამურ ადათ-წესებს იცავენ, ანდა მონაწილეობენ მათ შესრულებაში.

როგორც ითქვა, ისლამის დღევანდელი მიმდევრები ნაკლებად ერკვევიან დოგმატიკის საკითხებში. საერთოდ, ტრადიციულადაც, რიგითი მორწმუნეები და ზოგჯერ მოხეტიალე მოლების დიდი ნაწილიც ან საერთოდ ვერ ერკვეოდნენ ისლამის დოგმატიკის საკითხებში, ანდა მხოლოდ ნაწილობრივ. რაც შეეხება დღევანდელ რელიგიურ ადამიანებს, თანამედროვეობის გავლენით მათი რელიგიური ცნობიერება დეფორმირებულია. ყველაზე მტკიცე მორწმუნეებიც კი ვერ ერკვევიან დოგმატიკის საკითხებში. რელიგიაში თვით მოხეტიალე მოლების გარკვეულობა რიგითი მორწმუნეების ყოველდღიური რელიგიური ცნობიერების დონეზეა.

თანამედროვე მუსულმან მორწმუნეთა რელიგიურ ცნობიერებას სპეციფიკური ნიშან-თვისებები ახასიათებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვეობამ, ცხოვრების სოციალისტურმა წესმა, მატერიალურსა და სულიერ ცხოვრებაში მომხდარმა ღრმა ცვლილებებმა სერიოზული გავლენა მოახდინეს მორწმუნეთა რელიგიურ ფსიქიკაზე. თანამედროვე მორწმუნეთა რელიგიურობა სულ უფრო ნაკლებად შეესაბამება ტრადიციულ ისლამურ მოძღვრებასა და კანონებს. სულ უფრო დიდი ზღვარი წარმოიქმნება ისლამურ საღვთისმეტყველო დოქტრინასა და თანამედროვე მორწმუნეთა მსოფლმხედველობას შორის.

ერთნაირი არაა თანამედროვე მორწმუნეთა წარმოდგენები ალაჰზე. ისლამის რელიგიამ მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა ღმერთის შესახებ ფეტიშურ და პოლითეისტურ წარმოდგენებს. ისლამმა ასევე უარყო ქრისტიანული დოგმატი სამების შესახებ. ისლამი შეეცადა განეხორციელებინა მკაცრი მონოთეიზმი. მისი მთავარი დოგმატური პრინციპი ასეთია: „არ არის სხვა ღმერთი გარდა ალაჰისა, ხოლო მუჰამედი ალაჰის მოციქულია". მიუხედავად ამისა, ერთღმერთიანობის თანმიმდე-

ვრული დაცვა და განხორციელება ისლამმაც ვერ მოახერხა. ალაჰს მიეწერება განუსაზღვრელი რაოდენობის თვისება (sifat).

ასე მაგალითად, ისლამური მოძღვრების თანახმად, უსაზღვრო არსების თვისებათა რაოდენობა არ შეიძლება განსაზღვრული იყოს. გარდა ამისა, ისლამის აღნიშნული დოგმატი მოითხოვს ალაჰის ერთადერთობასთან ერთად მის მოციქულად მუჰამედის აღიარებასაც. თუ კაცს ალაჰი სწამს, მან უნდა იწამოს აგრეთვე მუჰამედის წინსარმეტყველებაც. ამ ძირითადი დოგმატის (შაჰადა) ორი მხარე ერთიმეორისაგან განუყოფელია. სწორედ ამის გავლენით მორწმუნეთა ყოველდღიურმა ცნობიერებამ მუჰამედი ალაჰის რანგამდე აიყვანა. მათი გაგებით და ღრმა რწმენით ზებუნებრივ, ღვთაებრივ უნარში მუჰამედი ალაჰს არ ჩამოუვარდება. მუჰამედისათვის, ისევე როგორც ალაჰისათვის, შეუძლებელი არ არსებობს. მუჰამედისათვის მიძღვნილი საკულტო რიტუალებიც კი იმართება (მევლუდი, ზიქრი, დუა და ა. შ.). აქ ვაწყდებით ქრისტიანობის ანალოგიურ მდგომარეობას. ქრისტიანული შობის მსგავსად, ისლამში მუჰამედის შობის აღნიშვნაა. მიუხედავად იმისა, რომ ყურანში არაერთგზისაა მოთხოვნა, არ დაუშვან მუჰამედის გაღმერთება, რადგან ის მხოლოდ მოციქულია, ისლამის ღვთისმეტყველებამ და უფრო მეტად მორწმუნეთა ყოველდღიურმა ცნობიერებამ მუჰამედი მაინც გაღმერთა. გარდა ამისა, ისლამში დიდი ადგილი დაიკავა წმინდანთა კულტმა, უფრო მეტი, ვიდრე ქრისტიანობაში. წმინდანთა კულტით, ისლამის სამოსელში კვლავ აღდგა ყურანის მიერ აკრძალული ფეტიშიზმი. ამასთან, პირვანდელი ფეტიშიზმი შედარებით შეზღუდული მითოლოგიური წარმოდგენებით ხასიათდებოდა, უფრო ჭარბობდა საკულტო რიტუალები. ამდენად, ისლამმა ვერ მოახერხა მკაცრი და თანმიმდევრული მონოთეისტური დოქტრინის დაცვა და რეალიზაცია.

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე მორწმუნეები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან ისლამის დოგმატიკის ძირითადი ელემენტის — ალაჰის შესახებ წარმოდგენების არაერთგვაროვნებით. გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ თანამედროვე მუსულმან მორწმუნეებს ალაჰის შესახებ გააჩნიათ შემდეგი

ძირითადი წარმოდგენები: ალაჰი აბსტრაქტული, ყველგან არსებული და ყოვლად ძლიერი ზებუნებრივი ძალაა; სინათლის მსგავსია, ადამიანის მსგავსია, ღმერთი და ბუნება ერთი და იგივეა, რაღაც გაურკვეველი ძალაა, ზოგიერთებმა კი აღნიშნეს, რომ ალაჰის ატრიბუტებზე, მის როგორობაზე მსჯელობა დაუშვებელია. ადამიანთა საკმაოდ დიდი ნაწილისათვის კი ალაჰი ზებუნებრივი შინაარსისაგან დაცლილი ტერმინია. ბევრი ბშირად წარმოსთქვამს სიტყვა „ალაჰს", მაგრამ რაიმე ზებუნებრივი შინაარსისაგან დაცლილად.

იგივე ითქმის აგრეთვე სულის უკვდავების, საიქიოს და სხვა დოგმატური იდეების შესახებ, რომელთაც დღევანდელ მორწმუნეთა რელიგიური ცნობიერების შინაარსში გადამწყვეტი ადგილი აღარ უკავიათ. გამოკითხულთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა გამოხატა რწმენა მათ მიმართ. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ დღევანდელ მორწმუნეთა რელიგიური ცნობიერება სერიოზულ დეფორმაციას განიცდის. ეს პროცესი დოგმატიკის ელემენტთა კომპლექსის პერიფერიებიდან იწყება და მისი ბირთვისაკენ, ძირითადი იდეისაკენ — ალაჰისაკენ მიემართება და თვით ალაჰის იდეასაც კი ეხება, რადგან როგორც ითქვა, დღევანდელ მორწმუნეთა დიდი უმრავლესობისათვის სიტყვა „ალაჰს" გამოცლილი აქვს ზებუნებრივი, ღვთაებრივი შინაარსი. სულ უფრო წინა პლანზე იწევს ალაჰის არა რწმენა, არამედ უბრალოდ აღიარება, ხსენება ტრადიციისადმი მიჯაჭვულობით, მისდამი პატივისცემის გრძნობით.

მნიშვნელოვნადაა შეცვლილი აგრეთვე თანამედროვე მუსულმან მორწმუნეთა დამოკიდებულება საკულტო წეს-ჩვეულებებისა და დღესასწაულებისადმი. ისე, როგორც ყველა სხვა რელიგიაში, ისლამშიც საკულტო მხარეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ისლამური კონცეფციის თანახმად, რელიგიური რწმენა მხოლოდ საკულტო ქცევაში იძენს ძალას, ხდება სრული. ერთი მხრით, იგი წარმოადგენს ზებუნებრივის შესახებ რწმენის (რელიგიური ცნობიერების) რეალიზაციას, მის გამოვლენას. მეორე მხრით კი ის თვითონ განამტკიცებს რელიგიურ რწმენას. საჭიროა აღინიშნოს, რომ ქრისტიანობაში (ვთქვათ, კათოლიკობაში და მართლმადიდებლობაში) მრავალრიცხოვანი დღესასწაული და წეს-ჩვეულებაა. თუ გადავხედავთ საეკლესიო კალენდრებს, ვნახავთ, რომ

წელიწადის ყოველ დღეს რამდენიმე საკულტო მოსახსენებელია. ამ მხრივ ისლამი მარტივია. მისი საკულტო მოთხოვნებია მხოლოდ და მხოლოდ ლოცვა, მარხვა, მოწყალება და ქ. მექაში სალოცავად გამგზავრება (ჰაჯი). ისლამურ კალენდარში ამ რელიგიისათვის ღირსშესანიშნავი თარიღები არაა შეტანილი. სამაგიეროდ ისლამის თითოეული ეს საკულტო რიტუალი რთულია და რელიგიურ მოქმედებათა მთელ კომპლექსს შეიცავს. ამის გარდა, ისლამმა შექმნა ე. წ. წმინდათა კულტი, აგრეთვე მოახდინა ადამიანთა მთელი ცხოვრების, ყოფის რიტუალიზაცია, რითაც ფაქტიურად გაზარდა, გააფართოვა ადამიანებზე ზემოქმედების საშუალებათა წრე. როგორც ვხედავთ, მიუხედავად ისლამური საკულტო კალენდრის სიღარიბისა და სიმარტივისა, ამ რელიგიაშიც საქმე გვაქვს რთულ საკულტო სისტემასთან.

ისლამური საკულტო სისტემის მთელი კომპლექსი შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: პირველი — რელიგიური წეს-ჩვეულებები და დღესასწაულები. ხოლო მეორე — ყოფითი ხასიათის რიტუალები, რომლებიც ისლამთან შეხებაში საკულტო ხასიათსა და შინაარს იძენენ. ასეთი დაყოფა ნაწილობრივ პირობითია. ვინაიდან, ისლამის წეს-ჩვეულებები და დღესასწაულები, ამ რელიგიისა და მის მიმდევართა ყოფის სპეციფიკურობის გამო, ყოფაში იჭრება, ყოფითს ხასიათს იძენენ. როგორც ვხედავთ, აქ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა რიგის პროცესთან: 1. კანონიკური ისლამური წეს-ჩვეულებების ადამიანთა ცხოვრებაში, მათს ყოფიერებაში ღრმად შეჭრასთან; ისინი რელიგიური ინდივიდების ზებუნებრივთან დამოკიდებულების საშუალებიდან თანდათან იქცევიან და გარდაიქმნებიან მათი ერთმანეთთან და ბუნებასთან დამოკიდებულების ფორმებად. მაშასადამე, საქმე გვაქვს კანონიკური ისლამური წეს-ჩვეულებების ყოფით ნორმებად, ტრადიციებად გადაქცევასთან; 2. ადამიანთა ყოფის რიტუალიზაციასთან, ისლამური კანონების დონეზე მათ აყვანასთან. როდესაც პირველ რიგს მიეკუთვნება ლოცვა, მარხვა. მოწყალება, მექაში პილიგრიმობა, მეჩეთში ლოცვები და ქადაგებები, რამაზანისა და ყურბან ბაირამები, ზიქრი, ყურანის კითხვა, შახსეი-ვახსეი (თითოეული მათგანი თავის მხრივ რთული რიტუალური სისტე-

მაა, მოიცავს საკულტო მოქმედებათა მრავალ ფორმასა და საჭესხვაობას), მეორეს კი მიეკუთვნება: დასუნათება (წინდაცვეთა), მიცვალებულის რელიგიური წესით დაკრძალვასთან დაკავშირებული საკულტო რიტუალების კომპლექსი, ნიქაჰი, ურთიერთობა ოჯახში და საზოგადოებაში, მრავალრიცხოვანი მაგიური ხასიათის რიტუალები, რომლებიც თან ახლავს ხოლმე მორწმუნეთა (ზოგჯერ აგრეთვე არამორწმუნეთა) ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობას. ჩვენ აქ არ შევჩერდებით ამ წეს-ჩვეულებათა ისლამურ არსზე და შინაარსზე. შევეხებით მხოლოდ მათ მიმართ თანამედროვე მორწმუნეთა დამოკიდებულების თავისებურებას. ეს აუცილებელია, რადგან ისლამური რელიგიური დადგენილებების დაცვას და შესრულებას თავისი მოტივაცია და ფსიქოლოგიური საფუძვლები გააჩნია და ამიტომაც სწორედ მისი ახსნაა მთავარი. გარდა ამისა, ამ გადმონაშთების ღირებულებითი შეფასება ბევრად სცილდება მათ ტრადიციულ შინაარსსა და მნიშვნელობას. ჩვენს დროში ისინი ხშირად სოციალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური პრობლემების ხასიათს იძენენ და მსოფლიოს ორ სისტემას შორის იდეოლოგიური ბრძოლის ორბიტაში ექცევიან.

როგორც აღვნიშნეთ, ისლამური წეს-ჩვეულებებისა და დღესასწაულებისადმი ტრადიციული ისლამური დამოკიდებულება იშვიათია. ბევრი ცვლილება აქვს განცდილი მათდამი დამოკიდებულების როგორც მითოლოგიურ, მოტივაციურ-ფსიქოლოგიურ მხარეს, ისე პრაქტიკულად მათ შესრულებას.

ისლამური კონცეფციის თანახმად მორწმუნე ინდივიდთა საკულტო ქცევა გაპირობებულია ღვთისადმი მათი შინაგანი სწრაფვით. ყველა საკულტო დადგენილების ზუსტი შესრულება მორწმუნეთა მოვალეობადაა ჩათვლილი. ყურანში ალაჰი კატეგორიულად მოითხოვს, შეასრულონ დადგენილი წეს-ჩვეულებები მისდამი მადლობის ნიშნად. სინამდვილეში მორწმუნეთა მიერ საკულტო რიტუალების შესრულებას საფუძვლად უდევს სოციალური მოტივები, სრულიად ბუნებრივი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები. მართალია, მტკიცე მორწმუნეებში რელიგიურ ქცევას საფუძვლად უდევს ერთი შეხედვით წმინდა რელიგიური მოტივები, ალაჰისა-

ლმი სამსახურის, მისი გულის მოგების მოტივები. გარდა ამისა, გარკვეულ ეტაპზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებები თვითონ იქცევა მოთხოვნილებად. მაშასადამე, საქმე გვაქვს ე. წ. რელიგიური ქცევის ნორმატიული სტერეოტიპების წარმოქმნასთან. მიუხედავად ამისა, ასეთი ე. წ. მტკიცე მორწმუნეთა რელიგიური ქცევაც არაა თავისუფალი არარელიგიური, სოციალური, მატერიალური მოტივაციური საფუძვლებისაგან. ეს იმიტომ, რომ რელიგია ნებისმიერ სოციალურ სისტემაში გამოდის როგორც ადამიანთა სისუსტისა და შეზღუდულობის ილუზორული კომპენსატორის როლში.

ისლამური დოქტრინის საწინააღმდეგოდ, მორწმუნე ინდივიდები თავიანთი რელიგიური მოქმედებისათვის ხელმძღვანელობენ მრავალნაირი, მათი ინდივიდუალური ცხოვრების თავისებურებებით გაპირობებული სრულიად კონკრეტული მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებებითა და მოტივებით. მართალია, მტკიცე მორწმუნეები თავიანთი რელიგიური ინტერესებისათვის საზიანოდ თვლიან საერო, მატერიალურ მხარეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არარელიგიური მოტივები არსებობენ მათ ცნობიერებაში და განსაზღვრავენ მათს რელიგიურ მოქმედებას. საქმე ისაა, რომ ალაჰისადმი ერთგულება არაა თვითმიზანი. მორწმუნე ადამიანის ცნობიერებაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მხარე მოქმედებს — რელიგიური და არარელიგიური. თანამედროვე მორწმუნეთა ცნობიერების შინაარსში ყოველთვის წინა პლანზეა სწორედ ეს არარელიგიური მხარე. ღრმად მორწმუნე ადამიანს ყოველთვის გააჩნია საკუთარი და მისი ოჯახის წევრების ბედის, ჯანმრთელობის, წარმატებებისა და ა. შ. ალაჰის ნებით განსაზღვრულობის რწმენა. ამიტომ, რელიგიური რიტუალების შესრულების ძირითადი მოტივია ალაჰზე ზემოქმედება, მისი გულის მოგება, მისი ყურადღების მიპყრობა, კეთილად განწყობა. ყოველივე ამის მიზანი კი საბოლოო ჯამში საამქვეყნისო მისწრაფებები და ინტერესებია.

მორწმუნეთა ნაწილი რელიგიურ წეს-ჩვეულებებს ასრულებს შეპირებით, აღთქმით (შეპირება, აღთქმა ხდება სხვადასხვა ცხოვრებისეული შემთხვევის გამო).

აქ ყველაზე კარგად ვლინდება საერთოდ, რელიგიისა და, კერძოდ, ისლამის ილუზორულ-კომპენსატორული ფუნქცია

ანდა ის, რომ რელიგიური მოქმედების საფუძველს ყოველთვის წარმოადგენს აორალიგიური, მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილი.

ინდივიდთა გარკვეული ნაწილი ისლამურ წეს-ჩვეულებებს ასრულებს როგორც ეროვნულ ტრადიციებს. საქართველოში ისლამის გადმონაშთების შემორჩენის რეგიონებიდან ეს მოტივი ვლინდება აზერბაიჯანელ და ქისტ მოსახლეობაში. აქ აშკარად საქმე გვაქვს ისლამურისა (რელიგიურისა) და ეროვნულის ურთიერთგაიგივებასთან.

ისლამის საკულტო მოთხოვნების დამცველთა საკმაოდ დიდი ნაწილი მას ასრულებს ოჯახის უფროსების, მეზობლების, თანასოფლელების გავლენით, მათი ფსიქოლოგიური დაწოლით. მათივე გავლენით სრულდება ოჯახებში მევლუდი, ზიქრი, ხდება მიცვალებულთა რელიგიური წესებით დაკრძალვა, ყურანის კითხვა, ისლამური ბაირამების აღნიშვნა და ა. შ. მსგავსი მოტივით რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულება ანდა მათში მონაწილეობა კონფორმულ მოქმედებათა რიგს მიეკუთვნება.

ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ისლამის გადმონაშთების შემორჩენის რეგიონებში მეცნიერულ-ათეისტურ მუშაობაში უნდა იქნეს გათვალისწინებული მთელი წყება ფაქტორებისა, როგორიცაა თანამედროვე მორწმუნეთა რელიგიური ცნობიერების თავისებურებანი, რელიგიურ წეს-ჩვეულებებში სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მონაწილეობის სპეციფიკური ხასიათი და ა. შ.

ისლამი და ყოფა

სოციალური და ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნის პოლიტიკა აუცილებლად მოიცავს ბრძოლას. ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის მასების სოციალური აქტივობის ამაღლებას. ასეთ მოვლენათა რიგს მიეკუთვნება სწორედ რელიგიური ყოფითი ტრადიციები. როგორც ითქვა, ისლამის ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურება ისაა, რომ იგი ყოფითი რელიგიაა. მას ღრმა ფესვები აქვს გადგმული ადამიანთა ცხოვრების ყოფით სფეროში. სხვა რელიგიებისაგან განსხვა-

ვებით ისლამში ერთიმეორისაგან არაა გამიჯნული საერო და რელიგიური მხარეები. ადამიანთა ცხოვრების ნებისმიერი მხარე აქ ყურანითა და შარიათითაა რეგლამენტირებული.

ისლამური მოძღვრების თანახმად, ყურანითა და შარიათით რეგლამენტირებული ცხოვრების ნორმების დაუცველობა, შეუსრულებლობა შარიათისადმი, ისლამისადმი ღალატად ითვლება. აქედან გასაგები ხდება, თუ რატომ შეიმჩნევა ისლამის შემორჩენის ადგილებში ცხოვრების ყოფითი მხარის შედარებითი კონსერვატიზმი, მისი ნელი ცვლილება. ისლამი ყოფას ბოჭავდა, აფერხებდა მის განვითარებას, მის ცვლილებას, აკონსერვებდა მას. თავის მხრივ, ასეთი ყოფა უკუზემოქმედებას ახდენდა ისლამზე და მის კონსერვატიზმს განსაზღვრავდა. ყოფის რიტუალიზაციით, ისლამმა მორწმუნეთა ოჯახი რელიგიურ ჯგუფად გადააქცია.

ისლამში დიდი და განსაკუთრებული ადგილი უკავია მოხეტიალე მოლების ინსტიტუტს. მოხეტიალე მოლების არსებობა თვით ისლამის არსიდან, მისი სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ისლამისათვის უცხოა სასულიერო პირად კურთხევის წესი. გარდა ამისა, ამ რელიგიის თითქმის ყველა წესჩვეულება შეიძლება შესრულდეს მეჩეთის (ტაძრის) გარეშეც. ისლამური კანონების თანახმად ტაძარია მთელი დედამიწა, ხოლო მისი გუმბათი — ზეცა. შარიათი მორწმუნეს უფლებას აძლევს ილოცოს ყველგან, სადაც ამის დრო მოუწევს. ამიტომაცაა, რომ ისლამის გავრცელებისა და შემორჩენის ადგილებში უბვად არიან მოხეტიალე, თვითმარქვია მოლები. შარიათი ნებისმიერ მორწმუნეს უფლებას აძლევს საჭირო შემთხვევაში მოლასა და იმამის როლი (ფუნქცია) შეასრულოს. ჩვენს რესპუბლიკაშიც ისლამის შემორჩენის ადგილებში თითქმის ყველა სოფელში არიან მოხეტიალე მოლები და სწორედ ისინი მორწმუნეთა თხოვნით ასრულებენ სხვადასხვა საკულტო რიტუალებს.

ისლამის სპეციფიკურობას თავისი ისტორიული და სოციალური ფესვები აქვს. ისლამის პირველი მიმდევრები მომთაბარე არაბები იყვნენ. შემდეგშიც, არაბთა ლაშქრობების დროს ამ რელიგიას უფრო სწრაფად სწორედ აზიის მომთაბარე ხალხები იღებდნენ. მათი ჩამორჩენილი ყოფა ისლამურ

რელიგიურ ნორმებად დაკანონდა. სწორედ ამიტომ, კ. მარქსი და ფ. ენგელსი ისლამს აღმოსავლეთის მოსახლეობისათვის გაანგარიშებულ რელიგიად მიიჩნევდნენ, რომელმაც ნოყიერი ნიადაგი სწორედ აღმოსავლეთში პოვა და არა დასავლეთში.

ჩვენი აზრით, სწორედ ისლამის ასეთ სპეციფიკურობაში უნდა ვეძიოთ მისი შემორჩენის ადგილებში შედარებით მტკიცე რელიგიურობის, ანდა, ჩამორჩენილი, დრომოჭმული ყოფისადმი მიჯაჭვულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. სწორედ ყოფაა ის სფერო, რომელიც ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება იდეოლოგიურ ზემოქმედებას. გარდა ამისა, შარიათით დაკანონებული და რეგლამენტირებული ყოფა ყველაზე მეტ გავლენას ახდენს ოჯახზე, მოზარდ თაობაზე, რომელიც ავტომატურად ითვისებს მშობლების ცხოვრების ნორმად ქცეულ ტრადიციებს.

ისლამის ასეთი მტკიცე კავშირი ყოფასთან თავის მხრივ რელიგიურისა და ეროვნულის ყალბი გაიგივების საფუძველსაც ქმნის. მართალია, ისლამი ჩვენს ქვეყანაში დღეს აღარ წარმოადგენს ისეთ იდეოლოგიურ ძალას, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ერთაშორის ურთიერთობაზე, მაგრამ, მისი მოძღვრება, საკულტო სისტემა, ყოფა, შარიათული კანონები და ნორმები ასეთი ურთიერთობისათვის გარკვეულ დაბრკოლებას მაინც ქმნის. საერთოდ, ისლამის რელიგია და მისი კანონები არ უკრძალავენ მორწმუნე მუსულმანებს — იქონიონ მეგობრული ურთიერთობა იუდეველებთან და ქრისტიანებთან. ყურანში ისინი წმინდა წიგნის ხალხებად არიან აღიარებული. ისლამი შეუწყნარებლობას გამოხატავს მხოლოდ წარმართების მიმართ. მაგრამ, ყურანში არაერთგანაა ნათქვამი, რომ მუსულმანის მეგობრებია ალაჰი, მუჰამედი და დანარჩენი მუსულმანები. გარდა ამისა, ისლამის სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინა ადამიანთა დაყოფას სხვადასხვა ერებად და ეროვნებებად არ ცნობს. მთელი კაცობრიობა იყოფა მუსულმანებად და არამუსულმანებად. ყურანის თანახმად მუსულმანები ერთიმეორის ძმებია. უკვე ეს კონცეფცია ძირეულად ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის ეროვნულ პოლიტიკასა და მის რეალურ მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში.

ისლამის გადმონაშთები სერიოზულ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს მშრომელთა ინტერნაციონალური აღ-

ზრდის გზაზე. ნებისმიერი რელიგია ყოველთვის იყო სხვადასხვა კონფესიის მიმდევარ ხალხთა მორის ურთიერთობათა შემზღუდველი იდეოლოგიური ძალა. ახლო აღმოსავლეთში ასეთად რჩება იგი დღესაც. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს რელიგიურ-ეროვნული და თემობრივი შუღლი დღევანდელი ინდოეთის ზოგიერთ შტატში, რელიგიურ-პოლიტიკური დაჯგუფებები და მათი ურთიერთბრძოლა ლიბანში და ა. შ.

თვით ისლამის მიმდევარ ადამიანთა ყოფაც ხომ განსხვავდება სხვა რელიგიის მიმდევარი ადამიანების ყოფისაგან. უკვე ეს ფაქტორი ასე თუ ისე აშორებს, ერთიმეორისაგან აცილებს სხვადასხვა რელიგიის მიმდევარ ადამიანებს. ისლამური რელიგიურ-ყოფითი ტრადიციები მორწმუნეების მიერ ზოგჯერ ეროვნულ მოვლენებადაა მიჩნეული.

ყოფითი კულტურა საერთოდ ეროვნული კულტურის შემადგენელი ელემენტია. რაკი ისლამი ყოფასთანაა დაკავშირებული, რაკი ყოფაა ისლამიზებული, ეს იმას ნიშნავს, რომ ისლამი თავისი არსით ღრმადაა შეჭრილი ეროვნული კულტურის სტრუქტურაში და შინაარსში. სწორედ ეს მომენტი ქმნის რელიგიურისა და ეროვნულის გაიგივების ყალბ აზრს. ყოველივე ამას კი შედეგად მოჰყვება ხოლმე ის, რომ ზოგჯერ ეროვნული ყოფისა და კულტურის დაცვის ნიღბით ადგილი აქვს რელიგიურ ტრადიციათა პროპაგანდას. ასეთ მოვლენებზე მიუთითა სკკპ XXVII ყრილობამ, სადაც აღინიშნა, რომ

> „...ეროვნული თავისთავადობის ნიღბით ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგიერთ ნაწარმოებში, მეცნიერულ შრომებში ცდილობენ იდილიური ტონებით წარმოგვიდგინონ რეაქციულ-ნაციონალისტური და რელიგიური გადმონაშთები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ჩვენს იდეოლოგიას, სოციალისტური ცხოვრების წესს, მეცნიერულ მსოფლმხედველობას“[3].

აღმოსავლეთ საქართველოს აზერბაიჯანულ სოფლებში ჩატარებულმა კონკრეტულ-სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი (უფრო მეტად არამორწმუნეები) ისეთ რელიგიურ-ყოფით ტრადიციებს, როგორიცაა ყალიმი, ნიქაჰი, ორცოლიანობა, სუნნეთი, ყურანის კითხვა, ორუჯ-ბაირამი, ყურბან-ბაირამი, ეროვნულად მიიჩნევს.

ჩვენს დროში ისლამმა (მისმა იდეოლოგიამ, მორწმუნეთა ყოველდღიურმა რელიგიურმა ცნობიერებამ და საკულტო

პრაქტიკამ), ისლამიზებულმა ყოფამ სერიოზული ცვლილებები განიცადა. მიუხედავად ამისა, ისლამს და მის ყველა მხარეს — მსოფლმხედველობრივ-მითოლოგიურს, მორწმუნეთა ფსიქოლოგიას თუ ისლამიზებულ ყოფას, თავისებური სახით მაინც ვხვდებით.

ისლამში განსაკუთრებული ადგილი უკავია ოჯახის, ქორწინებისა და მემკვიდრეობის საკითხებს. ყურანში და მის განმარტებებში (თაფსირ), შარიათში დეტალურადაა დამუშავებული ეს საკითხები. ამას თავისი ისტორიული და სოციალური ფესვები აქვს. ისლამი წარმოიშვა როგორც ადრეფეოდალური საზოგადოების იდეოლოგია. არაბების მიერ განხორციელებულმა ფართო მასშტაბის სამხედრო ლაშქრობებმა, უცხო ქვეყნების დაპყრობამ, მათმა ძარცვამ და ხარკმა დამპყრობთა ხელში ვეებერთელა სიმდიდრის დაგროვება განაპირობა. ასეთ შემთხვევაში ძალზე აქტუალური გახდა ოჯახის ინსტიტუტისა და ქონების მემკვიდრეობის საკითხები.

ისლამურ საოჯახო კანონებში ყველაზე მეტად თვალში საცემია ქალის უუფლებო მდგომარეობა, მისი ყოველმხრივი შეზღუდვა. მაგრამ ქალის ასეთი მდგომარეობა ისლამს არ შემოუღია. აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში ქალის უფლებები ისლამამდეც შეზღუდული იყო. ისლამმა ქალის ასეთი მდგომარეობა მხოლოდ ალაჰის სახელით დააკანონა. მუჰამედმა ქალს ჩადრი ჩამოაფარა და მას აეკრძალა უცხო მამაკაცებთან გამოჩენა, საუბარი, მათთან ერთად სუფრაზე ჯდომა, სიყვარული, წაართვა მამაკაცთან თანასწორი უფლებები მემკვიდრეობაში და ა. შ. ადგილი ჰქონდა მცირეწლოვან ასაკში გათხოვებას, ყალიმს, მრავალცოლიანობას და ა. შ. ასეთი ისლამურ-ყოფითი გადმონაშთები ნაწილობრივ დღემდეა შემორჩენილი.

ამჟამად ჩადრი დავიწყებასაა მიცემული, მაგრამ სამაგიეროდ, ქალისადმი ფეოდალურ-ბატონკაცური დამოკიდებულების ცალკეულ შემთხვევებს მაინც ვხვდებით. აღმოსავლეთ საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობაში დღემდეა შემორჩენილი ორცოლიანობის ფაქტები. ასეთ ადამიანებს ადგილებზე არ ჰკიცხავენ, რადგან იქ ორცოლიანობა საძრახის საქციელად არ ითვლება. პირიქით, შარიათული კანონებიდან გაპომდინარე, მას სრულიად კანონიერ მოვლენად მიიჩნე-

ვენ. ან და ადგილი აქვს ოფიციალური (იურიდიულად) განქორწინების გარეშე მეუღლის მიტოვებას და სხვა ქალის შერთვას. ასეთი ქორწინების უფლებას სწორედ შარიათი იძლევა, ხოლო ასეთი შეუღლების რიტუალს (ნიქაჰ, აღდი) მოხეტიალე მოლები ასრულებენ.

ჯერ კიდევ ვხვდებით მცირეწლოვანი ქალიშვილების სკოლიდან გამოყვანისა და გათხოვების შემთხვევებს (აჭარაში). ასეთი ფაქტების შესახებ ვგებულობთ აჭარის ასსრ რაიონული გაზეთებიდან. მცირეწლოვან გოგონათა სკოლიდან გამოყვანა, სწავლისგან მოწყვეტა და გათხოვება დიდი დანაშაულია სახელმწიფოს, ერისა და შვილის წინაშე. საბჭოთა კანონმდებლობა მოქალაქეებს ამის უფლებას არ აძლევს. მაშასადამე, ასეთი მშობლები ხელმძღვანელობენ ყურანითა და შარიათით, ისლამის რელიგიით. შარიათული კანონებით მცირეწლოვანის გათხოვება ამავე დროს მისი რელიგიური აღზრდაცაა, მისი ისლამის გავლენისადმი მოქცევაა. შარიათული კანონების საფუძველზე ოჯახური და ყოფითი საკითხების გადაწყვეტა და მოგვარება ისლამის იდეოლოგიის დაცვის, მისი პროპაგანდის, შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეს ემსახურება.

გარკვეული რელიგიური რიტუალები ახლავს ქორწინებასაც. ისლამის შემორჩენის ადგილებში მორწმუნეთა საკმაოდ დიდი ნაწილი შვილის დაქორწინებისას აუცილებლად მიმართავს რეგისტრირებულ ან მოხეტიალე მოლას „აღდის გაკვეთისათვის“ (აჭარაში), „ნიქაჰისათვის“ (აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობაში). ესაა ქორწინების ისლამური, შარიათული, რელიგიურ-რიტუალური გაფორმება. გარდა ამისა, აზერბაიჯანულ სოფლებში ქორწილის პროცესს თან ახლავს არაერთი მაგიური და საკულტო რიტუალი (ლოცვები, მსხვერპლშეწირვა, მაგიური სიმბოლური მოქმედებანი და ა. შ.).

ქალ-ვაჟის ქორწინებასთანაა დაკავშირებული აგრეთვე ყალიმი, რომელიც თავისებური ფორმითაა შემორჩენილი ჩვენი რესპუბლიკის აზერბაიჯანელი ეროვნების მოსახლეობის ყოფაში. ყალიმის აუცილებლობის შესახებ სწერია ყურანში, მას დიდი ადგილი ეთმობა შარიათშიც. ყალიმი ფულადი გადასახადია, რომელიც, ისლამური კანონის თანახმად, საქმრომ უნდა გადაუხადოს საცოლეს (ფაქტიურად საცოლის მშობლებს).

შარიათის თანახმად, მამაკაცს მხოლოდ ამ თანხის გადახდის შემდეგ აქვს უფლება იწოდებოდეს ქმრად. აქ აშკარად ჩანს, რომ ეს ისლამური წესი (შარიათული კანონი) ემსახურებოდა ფეოდალურ საზოგადოებაში სოციალურ უთანასწორობათა განმტკიცებისა და შენარჩუნების საქმეს, სოციალური უკუღმართობისადმი ახალგაზრდობის შეგუებისა და ისლამისადმი ერთგულების აღზრდას. შარიათის ეს კანონი მუდმივ უფსკრულს ქმნიდა ღარიბებსა და მდიდრებს შორის. ასეთი კანონების პირობებში, ბუნებრივია, ყველას არ შეეძლო ყალიმი გადაეხადა და ცოლი შეერთო. ასეთებს ყურანი ურჩევს, დაელოდოს, სანამ ალაჰი მას გაამდიდრებს და ამის შემდეგ შეირთოს ცოლი. ამჟამადაც ამ მავნე ტრადიციას მტკიცედ იცავენ. კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევებისას დიდმა უმრავლესობამ (მამაკაცებმაც და ქალებმაც) ყალიმის აუცილებლობაზე მიუთითეს. მათი მტკიცებით ყალიმი მუსულმანთა რელიგიურ-ეროვნული ტრადიციაა და მისი დაცვა აუცილებელია. ყალიმი რამდენიმე თვალსაზრისითაა მავნე. აქ საქმე გვაქვს ქალის დამცირებასთან, ვინაიდან, ყალიმის გადახდა იმას ნიშნავს, რომ მშობლებმა ის ფულზე გაცვალეს, გაყიდეს. ყალიმი მავნეა იმ მხრივაც, რომ ხელს უწყობს დრომოჭმული რელიგიურ-ყოფითი ტრადიციების შემორჩენას. ამას გარდა, იგი ეკონომიკურ სიძნელეებს უქმნის ახალგაზრდა ოჯახს. ყალიმის ოდენობა ზოგჯერ რამდენიმე ათას მანეთამდე აღწევს. თუ გავითვალისწინებთ მრავალშვილიანობას და ქორწილში ბევრი ხალხის დაპატიჟებას, ცხადი გახდება, თუ რამდენად მავნეა ეს წეს-ჩვეულება. იგი აღარ შეესაბამება დღევანდელობას, ცხოვრების საბჭოთა წესს.

დღემდეა შემორჩენილი ისეთი რელიგიურ-ყოფითი ტრადიციაც, როგორიცაა წინადაცვეთა. მართალია, ყურანში არსადაა ნახსენები ამ წეს-ჩვეულების შესახებ, მაგრამ მან ისლამური კანონების კრებულში — შარიათში პოვა ასახვა. წინადაცვეთა უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე, მას იმთავითვე ჩააგონებს ისლამისადმი კუთვნილებას, მის განსხვავებულობას არამუსულმანებისაგან და ა. შ. ნშირად იგი ფულის შეგროვების მიზნით ტარდება. ყოველივე ეს მავნე გავლენას ახდენს ადამიანთა შეხედულებებზე და ჯანსაღ ადამიანურ ურთიერთობებზე. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისლამის შემორ-

ჩენის ადგილებში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა იცავს ამ ტრადიციას. უფრო მეტიც, მას ეროვნულ ტრადიციადაც კი მიიჩნევენ.

საკულტო რიტუალების მთელ კომპლექსს მოიცავს მიცვალებულის დაკრძალვის ყოფითი ტრადიცია. მასში თავმოყრილია ისლამის ბევრი წეს-ჩვეულება: იასინი, ყურანის წაკითხვა, მევლუდი, ყურბანი, ზიქრი, ჯანაზე ნამაზი და ა. შ. გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ დაკრძალვის პროცესი არც ერთ რელიგიაში ისე არაა რელიგიზირებული, როგორც ეს ისლამშია. მიცვალებულს რელიგიური წესით მარხავენ ისეთებიც, ვინც სხვა დროს თავის თავს მორწმუნედ არ თვლის. ისლამური კანონების თანახმად ეს საკულტო რიტუალები აუცილებელია მიცვალებულისათვის, მისი საიქიო ბედისათვის, მისი სამოთხეში მოხვედრისათვის. სინამდვილეში კი, ყველაფერი ეს გაანგარიშებულია ცოცხლებზე ზემოქმედებისათვის.

როგორც ვხედავთ, მთელი რიგი ისლამიზებული ყოფითი ტრადიცია ახალგაზრდობის გარშემოა კონცენტრირებული და სერიოზულ დაღს ასვამს მათი მსოფლმხედველობრივი ფორმირებისა და ცხოვრების პროცეს. ცნობილია, რომ ყოველი ახალი თაობა ძველისგან ავტომატურად ითვისებს უკვე არსებულ მზა ტრადიციებს, მათ შორის — რელიგიურსაც. იგივე ითქმის რელიგიურ-ყოფითი ტრადიციებისა და ისლამური დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ.

ისლამის გადმონაშთების დაძლევის შესახებ

პარტიის მიერ დასახული გარდაქმნის კურსი დიდად შეუწყობს ხელს დრომოჭმული მავნე გადმონაშთების, რელიგიური ყოფითი ტრადიციების დაძლევის საქმესაც. გარდაქმნა გულისხმობს საბჭოთა ცხოვრების წესისა და მორალისათვის შეუფერებელი ყოველგვარი ნეგატიურისა და ანტისაზოგადოებრივი მოვლენების დაძლევასა და აღმოფხვრას. მაშასადამე, ის ეხება ადამიანთა ცნობიერებასა და ქცევას, მათი ცხოვრების წესს. ასეთი გარდაქმნის, ახლებური აზროვნების გარეშე შეუძლებელი იქნება ადამიანებმა გაიგონ პარტიის მიერ დასახული კურსის მნიშვნელობა და მასშტაბურობა. ყოველივე ეს ეხება მორწმუნეთა რელიგიურ ცნობიერებასა და ქცევასაც, მთლიანად რელიგიურ გადმონაშთებს.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საქართველოში ისლამის შემორჩენის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია: რაიონული ცენტრებიდან მოშორებული ზოგიერთი სოფლის შედარებით დაბალი სოციალური და ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის ნაწილის ნაკლებად დასაქმებულობა, პატრიარქალურ-გვაროვნული ყოფითი ელემენტების შემორჩენა, მოსახლეობის ნაწილის შედარებით დაბალი კულტურულ-საგანმანათლებლო დონე, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, ცალკეული ნეგატიური მოვლენების არსებობა, მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის სისუსტე. ჩვენის აზრით, ისლამის გადმონაშთების დაძლევისადმი მიმართული მუშაობა სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს. ათეისტურმა მუშაობამ უნდა მოიცვას საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფერო, რომელიც ადამიანებს დაუბრუნებს რელიგიაში დაკარგულ საკუთარ არსებას, დაეხმარება მათ, უფრო სრულიად გამოავლინონ თავიანთი უნარი და ძალები. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ რელიგიასთან ბრძოლა მჭიდროდ ყოფილიყო დაკავშირებული პარტიის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ამოცანებთან. სხვა კონცეფციას, ამ პრობლემისადმი სხვანაირ მიდგომას ის მიაკუთვნებდა „...მარქსიზმის საწინააღმდეგოდ გავრცელებულ იმ მოსაზრებათა რიცხვს, რომლებიც მოწმობენ მარქსის დიალექტიკის სრულ გაუგებრობას“. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ

„ათეიზმის თეორიული პროპაგანდის, ე. ი. პროლეტარიატის გარკვეულ ფენებში რელიგიერ რწმენათა ნგრევის გამოყოფა აბსოლუტური, გაუვალი მიჯნით ამ ფენების კლასობრივი ბრძოლის წარმატებისა, მსვლელობისა და პირობებისაგან იმას ნიშნავს, რომ იმსჯელო არადიალექტიკურად[4]“.

ვ. ი. ლენინის ამ დებულებას დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს მეცნიერული ათეიზმის თეორიისა და პრაქტიკისათვის. აქედან გამომდინარე, ისლამის გადმონაშთების დაძლევის პრობლემები განხილული უნდა იქნეს მოცემული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებთან მჭიდრო კავშირში. როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა.

„...თავისთავად იდეები, რაოდენ მიმზიდველიც უნდა იყოს, ავტომატურად როდი აყალიბებს ერთიან და აქტიურ მსოფლმხედველო-

ბას, თუ მასების სოციალურ-პოლიტიკურ გამოცდილებასთან არ არის დაკავშირებული"[8].

მაშასადამე, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განვითარების ამოცანების გათვალისწინების გარეშე ათეიზმის პროპაგანდა რელიგიის მბოლოდ სიტყვიერი უარყოფა იქნებოდა. სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა

„...რომ ჭკვიანურ და ალალმართალ სიტყვას უდიდესი გავლენის ძალა აქვს. მაგრამ იგი ასჯერ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ღონისძიებებს უერთდება"[9].

ეს იმიტომ, რომ ყოველგვარ იდეოლოგიურ ზემოქმედებას ადამიანები აღიქვამენ არა უშუალოდ, არამედ საკუთარი ცხოვრების სოციალური პირობების საშუალებით, მათში გარდატეხილი სახით. ამიტომ, კ. მარქსი რელიგიის გაქრობას, ათეიზმის გამარჯვებას უკავშირებდა სოციალიზმის გამარჯვებას. მაშასადამე, რელიგიური იდეოლოგიის დაძლევა გულისხმობს არა მხოლოდ უშუალოდ ათეისტური ლექციების ჩატარებას, არამედ ღონისძიებათა მთელ კომპლექსს, რომელთაგან, ძირითადია მოცემული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განვითარება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ისლამი და ისლამიზებული ყოფითი გადმონაშთები უფრო მეტად მტკიცეა იქ, სადაც დაბალია სოციალური და ეკონომიკური განვითარება. ისლამის შემორჩენის რეგიონებში ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ დასახლებულ პუნქტებსა და სოფლებს, სადაც მოსახლეობის საკმაო ნაწილი სრულად ვერ არის დასაქმებული, იგივე ითქმის სხვა სოციალური ჯგუფების მიმართაც, სოფელს არა აქვს მისასვლელი გზები, სკოლები და კულტსაყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებები, ანდა თუ აქვს, მობავსებულია შეუფერებელ, ნახევრად ავარიულ მდგომარეობაში მყოფ ბინებში. ბევრგან არაა კლუბები, არა აქვთ საზოგადოებრივი თავშეყრისა და კულტურული დასვენების ობიექტები. ყოველივე ეს წოყიერ ნიადაგს ქმნის ისლამური ყოფითი გადმონაშთებისათვის. ასეთ საშუალებებს მოკლებული მოსახლეობა მეჩეთის გახსნას, ამოქმედებას მოითხოვს, რადგან, საკლუბო დაწესებულებების არ არსებობის პირობებში სწორედ მეჩეთი გახდება მათი თავშეყრის ადგილი. რელიგია ხომ რეალური, პრაქტიკული, ადამიანური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის საფუძ-

ველზე წარმოიქმნება, როგორც მისი ილუზორული კომპენსაცია. ამიტომ, ისლამის გადმონაშთების დაძლევის საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სწორედ სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ, სოფლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონის მკვეთრმა გაუმჯობესებამ, ყველა სოციალური ჯგუფისა და ფენის სოციალური აქტივობის ამაღლებამ.

მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის შემადგენელი ელემენტი უნდა გახდეს ბრძოლა ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენასთან ადამიანთა შეგნებასა და ყოფაში. ნეგატიურ მოვლენებსა და რელიგიურ გადმონაშთებს შორის გარკვეული პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირი არსებობს. სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, რომ

> „კონტროლის შესუსტებისა და მეფელი რიგი სხვა მიზეზების გამო გამოიკვეთა ისეთი ადამიანების ჯგუფები, რომლებსაც აშკარად აქვთ გამოხატული კერძომესაკუთრული მისწრაფებები, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი აგდებული დამოკიდებულება“.7.

მითითებულ იქნა ისეთ მანკიერ მოვლენებზე, როგორიცაა უშრომელი შემოსავლის მიღება, მუქთახორობა, მექრთამეობა, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. მსგავსი ნეგატიური მოვლენები სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენენ პატიოსან მშრომელთა ფსიქიკაზე, მათს მსოფლმხედველობაზე და ღირებულებითს ორიენტაციაზე. ხშირად ნახულობენ ყალბ, არაადეკვატურ ინტერპრეტაციას. ცალკეული ნეგატიური მოვლენები მსოფლმხედველობრივად არათანმიმდევრული ადამიანების მიერ აღიქმება რელიგიის სასარგებლოდაც კი. მორწმუნეთა ნაწილი ააბსოლუტებს ცალკეულ ნეგატიურ მოვლენებს, სამაგიერად ისლამის რელიგიური მორალის იდეალიზაციას ახდენს. ცხოვრების სოციალისტური ნორმების დარღვევის ფაქტები მათ მიერ აღიქმება, როგორც ისლამიდან განდგომის, გადახვევის შედეგი.

სოციალისტური საზოგადოებისათვის მიუღებელი და უცხო ასეთი მოვლენები ამახინჯებენ ადამიანთა ფსიქოლოგიას, ისინი დამღუპველად მოქმედებენ ადამიანთა ზნეობრივ იდეალზე, ცხოვრებისადმი, მომავლისადმი, საზოგადოებაში ინდივიდის ადგილისა და როლისადმი რწმენაზე. ეთმა ფაქტებმა შეიძლება ზოგიერთ ინდივიდში რელიგიური რწმენის, რელიგიური წარმოდგენების გაძლიერება გამოიწვიოს, „რე-

ლიგია ადამიანს აძლევს იდეალს, ადამიანისათვის საჭიროა იდეალი, მაგრამ ადამიანური ბუნების შესაბამისი და არა ზებუნებრივი". ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრა რელიგიას გამოაცლის სოციალურსა და იდეურ საყრდენს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ისლამი ყოფითი რელიგიაა, ნათელი გახდება ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისადმი მიმართული ღონისძიებების მნიშვნელობა ათეისტურ აღზრდაში. საქმე ისაა, რომ რელიგიური გადმონაშთები და ნეგატიური მოვლენები ადამიანთა ცხოვრების ყოფითს სფეროში უკავშირდებიან ერთმანეთს. ასეთი ხასიათისაა, მაგალითად, ყალიმი, ხალხმრავალი სუნნეთ თოის მოწყობა და ა. შ. მავნე ყოფითს ტრადიციებში არა მარტო ისლამური ელემენტებია, არამედ ანტისაზოგადოებრივი, სოციალიზმისათვის უცხო და მეტად მავნე ასპექტებიც. ასეთი რელიგიურ-ყოფითი ტრადიციების დაცვა ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია უშრომელ შემოსავალთან, სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან. ეს მოვლენები იწვევს სურსათის განიავებას, სამუშაო დროის გაცდენებს, ადამიანთა სოციალური აქტივობის დაცემას, სოციალიზმისათვის უცხო ფსიქოლოგიის წარმოქმნას.

ათეისტური მუშაობის შემადგენელი რგოლი უნდა გახდეს ახალგაზრდობაში მეცნიერულ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩანერგვა. როგორც უკვე ითქვა, ისლამური ყოფითი ტრადიციების საკმაო ნაწილი კონცენტრირებულია ახალგაზრდობის გარშემო და გამიზნულია მათს ფსიქოლოგიაზე ზემოქმედებისათვის. ისლამის მიმდევარ რელიგიურ ოჯახებში დღემდე ქალიშვილები მთელი რიგი შეზღუდვების პირობებში იზრდებიან. დღემდეა შემორჩენილი პატრიარქალური ოჯახების ტრადიცია. ახალგაზრდები ფაქტობრივად პაპებისა და ბებიების, მშობლების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ხშირ შემთხვევაში, უფროსების გავლენით ისინი იძულებული არიან დაიცვან ისლამიზებული ყოფითი ტრადიციები. ამიტომ, ახალგაზრდობის ათეისტური აღზრდის მეცნიერულად წარმართვა აუცილებლობით მოითხოვს მთელი რიგი სხვა პრობლემების გადაწყვეტასაც. ესაა ახალგაზრდობის სწავლის, შრომისა და დასვენების ორგანიზაცია თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

ისლამის გადმონაშთების დაძლევის საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს აგრეთვე მუშაობამ ქალთა შორის. ისლამის კვლავწარმოების ერთ-ერთ მთავარ წყაროს ოჯახში რელიგიური აღზრდა წარმოადგენს. აქ კი დიდ როლს ასრულებენ მორწმუნე ქალები. ისლამის კონკრეტული გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტი რელიგიურობით სწორედ ქალები ხასიათდებიან. ისინი გამოირჩევიან კულტურისა და განათლების შედარებით დაბალი დონით, დაბალია მათი სოციალური აქტივობა, რაც ბევრად განსაზღვრავს მათი ერთი ნაწილის რელიგიურობას, დრომოჭმული ყოფისადმი მიჯაჭვულობას. ამიტომ სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, რომ

„ოჯახის მრავალი პრობლემის გადაჭრის წანამძღვარია ქალთა შრომისა და ყოფის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ — წარმატებით შეუხამონ დედობა შრომითს და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას"[8].

ისლამის შემორჩენის რაიონებში ყველაზე მეტად რელიგიური არიან ის ქალები, რომლებიც სოციალისტური კოლექტივისა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომითი საქმიანობის გარეთ იმყოფებიან. ასეთ ქალებზე მეცნიერულ-ათეისტური, იდეოლოგიური ზემოქმედება ძნელად ხერხდება. მორწმუნე მუსულმან ქალთა ათეისტური აღზრდა უნდა დაიწყოს სწორედ მათი სოციალური აქტივობის ზრდით, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომითს საქმიანობაში ჩაბმით, ამისათვის კი აუცილებელია დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება. შრომითი კოლექტივებისა და ქალთა საბჭოების საშუალებით უნდა მოეწყოს მათ შორის ახალი ყოფის, სამედიცინო ცოდნისა და საოჯახო ესთეტიკის პროპაგანდა. ყოველივე ეს აამაღლებს მათს ყოფითს კულტურას, ესთეტიკურ გრძნობებსა და გემოვნებას, რაც მათი ყოფა-ცხოვრებიდან გამოდევნის რელიგიურ ელემენტებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აქტიურ მორწმუნე ქალებთან მუშაობას. ხშირ შემთხვევაში სწორედ ისინი წარმოადგენენ ისლამისა და ისლამიზებული ყოფის პროპაგანდისტებს.

მეცნიერულ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და მუსულმანური საკულტო წეს-ჩვეულებების დაძლევაში დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების დანერგვას. ისლამში ადამიანებზე რელიგიური ზემოქმედების მთავარ არხს წარ-

მოადგენდა და ახლაც წარმოადგენს ისლამიზებული ყოფა. ამიტომ, ახალი წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების, სოციალისტური ყოფის დანერგვა დიდ როლს შეასრულებს ისლამის განდევნაში მისი ყველაზე „საიმედო“ და კონსერვატიული თავშესაფრიდან.

რელიგიური ტრადიციებისადმი დაპირისპირებაში ახალ წეს-ჩვეულებებს დიდი პოლიტიკური, იდეოლოგიური, ესთეტიკური, შემეცნებითი და აღმზრდელობითი ფუნქციები აკისრია. დრომოჭმული ტრადიციები ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოების განვითარებაში. კ. მარქსი წერდა, რომ ყველა მკვდარ თაობათა ტრადიცია კოშმარივით აწევს ცოცხალთა ტვინს. ისლამის რელიგია წარმოშობისთანავე, თავისი საკულტო სისტემით, ყურანითა და შარიათით მჭიდროდ დაუკავშირდა ადამიანთა ყოფას, ადამიანთა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მხარეებს. ისლამი ერთგვარად ჩაექსოვა და გადაეხლართა ადამიანთა ცხოვრების ყველა მხარეს, მოახდინა მისი ისლამიზება. საუკუნეთა მანძილზე, ისლამის წეს-ჩვეულებები და დღესასწაულები, ისლამიზებული ყოფითი ტრადიციები განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ახალგაზრდობისა და მოზარდების ფსიქიკაზე რელიგიური ზემოქმედების თვალსაზრისით. ამიტომ, მათ საპირისპიროდ უნდა შემუშავდეს და დაინერგოს ახალი სოციალისტური სახალხო დღესასწაულები და ტრადიციები, ახალი ყოფა.

ისლამის შემორჩენის ადგილებში მთელი რიგი ახალი სახალხო დღესასწაულები დაინერგა. მაგრამ ჯერ კიდევ ვერაა მონახული ისეთი დღესასწაული, რომელიც რეგიონის მოსახელობის ყველა ჯგუფის გულსა და სულს დაეუფლებოდა, დააკმაყოფილებდა მათ ისეთ მოთხოვნილებებს, რომლებსაც ისინი რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობით იკმაყოფილებდნენ. ხშირ შემთხვევაში. ახალი დღესასწაულები მხოლოდ საჩვენებლად ინერგება ახალი დღესასწაულები და რიტუალები ხელოვნურად კი არ უნდა გამოვიგონოთ ან შევქმნათ, არამედ უნდა გამომდინარეობდნენ თვით ცხოვრებიდან, უკავშირდებოდნენ ადამიანთა პრაქტიკულ შრომითს საქმიანობას, შეესაბამებოდნენ მათს მატერიალურსა და სულიერ მოთხოვნილებებს. ახალი წეს-ჩვეულებების დანერგვის პარალელურად უნდა განხორციელდეს მორწმუნეთა სოციალური ცხოვრების

სერიოზული გარდაქმნა-გაუმჯობესების ღონისძიებები, რათა ისინი აღარ საჭიროებდნენ თავიანთი ბუნებრივი მოთხოვნილებების ზებუნებრივ, ილუზორულ კომპენსაციას. ახალი წეს-ჩვეულებების დანერგვა უნდა ხორციელდებოდეს ათეისტურ ღონისძიებათა სისტემის საერთო გეგმის შესაბამისად, ახალი წეს-ჩვეულებები უნდა აღმოვაჩინოთ ხალხის ცხოვრების წიაღშივე, უნდა გავწმინდოთ იგი რელიგიურ-მისტიკური სამოსლისა და შინაარსისაგან და შევავსოთ ახალი, დღევანდელი ცხოვრებისეული მხარეებითა და ელემენტებით. ახალი წეს-ჩვეულებების დანერგვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ რელიგიურ რიტუალებში მორწმუნე მუსულმანები უშუალოდ, პრაქტიკულად მონაწილეობენ. ასეთი რიტუალების შესრულების პროცესში ისინი პრაქტიკულად (ფიზიკურად) და სულიერად არიან ჩართულნი. ამ მხრივ, ახალი წეს-ჩვეულებები ჯერ კიდევ სრულყოფას მოითხოვენ. უმეტეს შემთხვევაში ადამიანები მხოლოდ მაყურებლები არიან ახალი წეს-ჩვეულებებისა და დღესასწაულებისა.

ისლამის შემორჩენის რეგიონებში მოსახლეობის მეცნიერულ-ათეისტური აღზრდის შემადგენელი ელემენტი უნდა გახდეს ინტერნაციონალური აღზრდა, რომელიც თავისი არსით ღრმა ანტირელიგიური ხასიათისაა. თავის მხრივ, ათეიზმის პროპაგანდა, მეცნიერულ-ათეისტური დარწმუნებულობის აღზრდა მოიცავს ინტერნაციონალურ შინაარსსაც. ისლამის რელიგია არ ცნობს ადამიანთა ერებად, ეროვნული კულტურებისა და ფსიქოლოგიის შესაბამისად დაყოფას. ხალხთა განმასხვავებელ ნიშნად აქ აღებულია რელიგიური კუთვნილება, მუსულმანობა და არამუსულმანობა. მუსულმან მორწმუნეთა ნაწილის ყოველდღიურ ცნობიერებაში სიტყვა „მუსულმანმა“ ეროვნულის ტოლფასოვანი შინაარსი მიიღო. ნაწილობრივ ეს დღესაც ასეა. ასეთ შემთხვევაში დიდია ინტერნაციონალური აღზრდის როლი რელიგიური იდეოლოგიის დაძლევის საქმეში. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში „ინტერნაციონალური აღზრდის“ ცნების შინაარსი ძალზე ვიწროდაა გაგებული. კმაყოფილდებიან მხოლოდ ხალხთა შორის მეგობრობაზე ლექციების წაკითხვით, შეხვედრების მოწყობით და ა. შ. ამ მეტად საჭირო ღონისძიებათა პარალელურად უნდა მოხდეს თითოეული ერის ყოფისა და კულტურის ყველაზე

საუკეთესო მხარეების ფართო პროპაგანდა. მორწმუნეებს ისტორიული ფაქტების საფუძველზე უნდა ვუჩვენოთ, რომ სხვადასხვა კონფესიის მიმდევარ ერთა შორის ისტორიულად რელიგიური დაპირისპირებისა და რელიგიური ომების უკან იმალებოდა გარკვეული ფენების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები. მორწმუნე მუსულმანებს უნდა ვუჩვენოთ, რომ სხვა რელიგიებისა და მათი მიმდევრების მიმართ ტრადიციული ისლამის დამოკიდებულება გაცილებით ლმობიერია, ვიდრე მორწმუნეთა ყოველდღიურ ცნობიერებაში გაბატონებული შეხედულებები. უნდა ვუჩვენოთ სხვა ერის რელიგიაზე და კულტურაზე ასეთ ყალბ წარმოდგენათა ისტორიული და სოციალური ფესვები.

მეცნიერულ-ათეისტური მუშაობისადმი დიალექტიკური მიდგომა გულისხმობს აგრეთვე მორწმუნეთა კონფესიონალური კუთვნილების, მათი რელიგიურობის ხარისხისა და სიღრმის, ისტორიული, ეროვნული და ტრადიციული ფაქტორების გათვალისწინებას, სოციალური განვითარების, საგანმანათლებლო და კულტურულ-ყოფითი დონის შესაბამისი მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის ჩატარებას.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისლამის სპეციფიკა, მუსულმან მორწმუნეთა რელიგიურობის თავისებურება. დღევანდელი მუსულმანი მორწმუნე თავისი ინფორმაციულობით, გონებრივი თვალთახედვით შედარებით მაღლა დგას, ვიდრე 30-40 წლის წინანდელი მორწმუნეები. გარდა ამისა, თითქმის ყველა ოჯახში, ერთი, ორი ან მეტი წევრი უმაღლესი განათლებითაა. აქედან გამომდინარე, მეცნიერულ-ათეისტურ მუშაობასაც თავისებური მიდგომა, შესაბამისი ფორმებისა და მეთოდების შერჩევა ესაჭიროება.

მეცნიერულ-ათეისტურ მუშაობაში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ლექციურ პროპაგანდას, მაგრამ სალექციო თემა შერჩეული უნდა იქნეს მსმენელთა შესაბამისად. ლექციაში ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული მოცემული რეგიონის ადგილობრივი მასალები. ფ. ენგელსი ინგლისის სოციალისტების შესახებ **წერდა, რომ**

„ლექტორებს მსჯელობის ძალზე კარგი მანერა აქვთ: ისინი ყველაფერში ცდიდან და დასაბუთებადი ან თვალსაჩინო ფაქტებიდან ამოდიან, რასაც თან ახლავს ისეთი ღრმა პრინციპული დასკვნები, რომ ძალზე ძნელია მასთან ბრძოლა...“[9]

მაგრამ ჩვენთან, მეცნიერულ-ათეისტური მუშობის დროს ხშირად არ იცავენ ამ მეთოდოლოგიურ პრინციპს. მთელი რიგი რაიონების ადგილობრივი ლექტორების სალექციო მასალების გაცნობამ გვიჩვენა, რომ მათი დონე ძალზე დაბალია, ლექტორები თავს არიდებენ ადგილობრივი მასალების გამოყენებას, რომლის გარეშეც ათეისტური აღზრდა ვერ იქნება ეფექტური და დამაჯერებელი.

ხშირად, მეცნიერულ-ათეისტური, იდეოლოგიური და საინფორმაციო ზემოქმედების გარეშე რჩებიან მორწმუნეთა ისეთი ჯგუფები, როგორიც არიან პენსიონერები, დიასახლისები და ის ქალები, რომლებიც ძირითადად საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავებითა და ხილ-ბოსტნეულის საკოლმეურნეო ბაზრებში გასაღებით არიან დაკავებული. ამიტომ, სალექციო მუშაობა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ მან მოიცვას საზოგადოების ეს სოციალური ჯგუფებიც.

მეცნიერულ-ათეისტურ მუშაობაში უნდა აღიკვეთოს კომპანიურობა. ვ. ი. ლენინი სასტიკი წინააღმდეგი იყო მეცნიერულ-ათეისტური ღონისძიებების ჩატარებისა რელიგიური დღესასწაულებისა და მის წინა დღეებში. ამჟამად კი მსგავსი ფაქტები იშვიათად როდი შეიმჩნევა. ყოველივე ეს უფრო ართულებს ისლამის დაძლევის საქმეს, აღვივებს მუსულმან მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობებს, წარმოშობს უნდობლობას ათეისტური ლექტორების მიმართ.

ისლამის იდეოლოგიისა და ისლამიზებული ყოფითი ტრადიციების დაძლევის საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ კითხვა-პასუხის საღამოებმა, თეორიულმა და პრაქტიკულმა კონფერენციებმა. მაგრამ, დიასახლისები, ხანდაზმული ადამიანები, რომლებიც ისლამური დადგენილებების ძირითადი დამცველებია, ან არ ესწრებიან ასეთ ღონისძიებებს, ანდა მსგავსი ღონისძიებები დიდ შეშვიათობას წარმოადგენს. კონკრეტულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ზოგიერთ სოფელში წლების მანძილზე რაიმე ათეისტური ღონისძიება არ ჩატარებულა. ასეთ ვითარებაში რელიგიისაგან ადამიანთა ჩამოშორების დაჩქარებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ისლამის გადმონაშთების შემორჩენის ადგილებში მეცნიერულ-ათეისტურ მუშაობაში იდეოლოგიური ზემოქმედების საშუალებათა შორის ყველაზე

ეფექტურია რადიოსპექტაკლები, ტელეფილმები, გაზეთები, ათეისტური ლიტერატურის გავრცელება. სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის პირობებში იდეოლოგიური ზემოქმედების ყველა ეს საშუალება ვერ არის სრულად გამოყენებული.

ისლამის გადმონაშთების დაძლევის საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს ინდივიდუალურმა მუშაობამ მორწმუნე ადამიანებთან. ამაზე გაამახვილა ყურადღება სკკპ XXVII ყრილობამ, სადაც აღინიშნა, რომ ინდივიდუალური მუშაობა აღზრდის უმნიშვნელოვანესი ფორმაა. მაგრამ, იდეოლოგიური მუშაობის ეს ფორმა გაცილებით რთულია. იგი დიდ ცოდნას, ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ ალღოს და უნარს მოითხოვს.

ათეისტი, რომელიც ინდივიდუალურ მუშაობას ეწევა, უნდა სარგებლობდეს დიდი ავტორიტეტითა და ნდობით. მან მუშაობა ისე უნდა წარმართოს, რომ მორწმუნე ადამიანმა არც კი იფიქროს მის საბოლოო შედეგებზე. ინდივიდუალურმა მუშაობამ მორწმუნე ინდივიდებში თავისთავად უნდა აღძრას რელიგიისადმი ეჭვიანი დამოკიდებულება. მორწმუნე თვითონ უნდა მივიყვანოთ იმ დასკვნამდე, რომ ისლამის იდეოლოგია და მისი შარიათული ნორმები, მისი ყოფითი ტრადიციები მავნეა.

მეცნიერულ ათეისტური მუშაობის წარმატება შესაძლოა უზრუნველვყოთ იდეოლოგიური მუშაობის ყველა ფორმისა და მეთოდის მხოლოდ შეხამებული და უნარიანი გამოყენებით.

---

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987 წ. 27-28 იანვარი, თბ., 1987, გვ. 9.
2. სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986, გვ. 136.
3. იქვე, გვ. 82.
4. ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 15, გვ. 498.
5 სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986, გვ. 132.
6. იქვე, გვ. 132.
7. იქვე, გვ. 71.
8. იქვე, გვ. 79.
9. Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. I, с. 518.

Андриашвили Рагим Исламович

ПЕРЕЖИТКИ ИСЛАМА В ГРУЗИИ

В помощь лектору

(На грузинском языке)

Общество «Знание» Грузинской ССР
Тбилиси, ул. Ленина, 47
1988

რედაქტორი ო. გაბიძაშვილი

გარეკანი მხატვარ გ. ავსაჯანიშვილისა

გადაეცა წარმოებას 30.05.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.12.88. ქაღალის ზომა 84×108 1/32; ნაბეჭდი თაბახი 1,68; სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 1,4.

უე 01599 ტირაჟი 34.500 შეკვ. № 1435

ფასი 10 კაპ.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა"
თბილისი, ლენინის ქ. № 47.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.